№ 23

კვირა, 30 იანვარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 23

კვირა, 30 იანვარი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„**ი ვ ე რ ი ა**"
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტ ფ ი ლ ი ს ი,**
**„ივერიის" რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრაფო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 2 თებერვალს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
გ. კანდელაკისა და კ. შათირი-შვილისა
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
ბ. ბ. ალექსიევ-მესხიევისა და ყიფიანის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
I
**და-ძმა**
ისტორ. დრ. 5 მოქ. ვ. გუნიასი
II
**დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი**
ბ.ბ. გედევანოვის, შათირიშვილის, კანდელაკის და გუნიას მონაწილეობით.
წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

## ტფილისი, 30 იანვარს

„კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოების" აზრით, დღევანდელი აქაური ღვინის წარმოება მარტო ერთს საგანზეა დამყარებული და ის საგანი ღვინოა, რომელიც ამის გამო ერთად-ერთი წყაროა შემოსავლისა ძვირად შესამუშავებელ და საკეთებ ვენახებისაგან. მაშინ როდესაც ღვინისაგან ნარჩენი მასალა, დღეს თითქმის გადასაყრელად გადადებული, როგორც უვარგისი რამ, შესაძლოა კაცმა გამოიყენოს და გადააკეთოს ლირებულ საალებ მიცემო საგნად. ღვინის მარილი, კრემორტარტარი და მწვანე წამალი (ярь-медянка) ღვინის წარმოების გამონარჩენ მასალისაგან გამოსაღები, საკმაოდ გააძლიერებს შემოსავალს ვენახისას, თუ ამისათვის კაცი ხელს გასძრავს და ამ საქმეს ცოდნით მოეკიდება.

თუმცა ამ საგანზედ მიმართული წარმოება სულ სხვა საქმეს შეადგენს, განსხვავებულს ღვინის კეთებისაგან, მაგრამ თუ იგი აღორძინდა ჩვენში, ახალს წყაროს შემოსავლისას ხელთ მისცემს ვენახის პატრონთა იმით მაინც, რომ ღვინის კეთებისაგან ნარჩენ მასალას, დღეს გამოუსადეგს და მაშასადამე უფასოს, ფასს დასდებს და სავაჭრო საგნად შექმნისო. ამით გაუჩენს ვენახის პატრონს ახალს წყაროსა, რომელიც გააძლიერებს შემოსავალს ვენახისას, რადგანაც ეს ახალი საქმე, რომლისათვის საჭიროა ღვინისაგან ნარჩენი მასალა, მოითხოვს ამ მასალასაო.

ამ სახით ვენახის შემოსავალი საერთოდ იმატებს და, მაშასადამე, შესაძლოა ამ ახალ წყაროს გაჩენით ღვინოსაც უფრო ზომიერი და ხელ-მისაწვდენი ფასი დაედოსო. დღეს მთელს ხარჯს ვენახისას მარტო ღვინო უნდა გაუძლვეს, ღვინომ უნდა დაჰფაროს შემუშავება ვენახისა, იხადოს ზარალის შიში და თვით ვენახის პატრონსაც საკმაო მოგება მისცესო. ყოველივე ეს საკმაოდ ადიდებს ღვინის ფასსა და ამ განდიდებისაგან არც ვენახის პატრონი ხეირობს და არც ღვინის მუშტარიო.

კარგა ბლომა ფული, რომელიც რუსეთიდამ გადის ღვინის მარილის, კრემორტარტარის და მწვანე წამალის სამზღვარ გარეთიდამ მოზიდვისათვის, რატომ შინ რუსეთშივე არ უნდა ჰრჩებოდეს, მაშინ, როდესაც ყოველივე ეს შესაძლოა კახეთში გაკეთდეს და იმოდენად საკმაოდ, რომ რუსეთის შინა ბაზრები თითქმის სავსებით დააკმაყოფილოსო.

ამ სახით „კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოებას" თავის საგნად დაუდვია: ღვინის საქმე კახეთში იმ ხარისხზე დააყენოს, რომელიც მართლად-მართლა თავმდები, რომ კახური ღვინო შეიქმნას მტკიცე და საიმედო საგნად აღებ-მიცემობისა გარედ ბაზრებისათვის და ნამეტნავად რუსეთისათვის და აღორძინოს იგი ახალი დარგი წარმოებისა, რომელთა ძალით ღვინისაგან ნარჩენი მასალა შესაძლოა გადაკეთდეს საფასურ საგნად ვაჭრობისათვის და მით ვენახის პატრონთ გაუჩნდეთ ახალი წყარო ვენახის შემოსავლისა.

ხოლო ყოველივე ესე თვითვეულ ცალკე კაცთა ღონისათვის მიუწდომელია და რაც თვითვეულისათვის შეუძლებელია, იმას შესძლებს შეერთებული ღონე ბევრისაო, მთელის კრებულისაო. ესა გვქონდა სახეში წესდების პროექტის შემადგენელთაო, ამბობენ დამწყებნი ამა საქმისა. მისახწევად იმ აზრისა, რომელიც საზოგადოებას თავის მოქმედების საგნად მიუღია, დაუდვიათ, 1) რომ წევრთაგან მოგროვილ ღვინოს თვითონ საზოგადოებამ მოუაროს, შეუფეროს გარედა-ბაზრის მოთხოვნილებას ისე-კი, რომ კახურის ყურძნის წვენში არა რა გაურიოს და მარტო მის ბუნებურ თვისებას ხელი შეუწყოს და ბუნებური წმინდა კახური ღვინო გაიტანოს ბაზარში, კარგად მოვლილი საგამძლეოდ და საგემოდ; 2) რომ შემწეობა აღმოუჩინოს ვენახების უკედ კეთებისა, ღვინის დაყენებისა და მოვლისათვის და ღვინის ნარჩენი მასალა ახალის წარმოების საგნად გახადოს და 3) შუამავალი შეექმნას ღვინის მსმელთა და ღვინის პატრონთა ისე, რომ ორივესათვის უზარალო იყოს.

ყოველი მუხლი წესდებისა ამ სამს საგანზეა მიმართული და მოწყობილი ასე-კი, რომ თვითონ „საზოგადოებას" საკუთრივ არავითარი აზრი გამორჩენისა არა აქვს და ამ სახით სრულად ზურგი შეუქცევია იმ გვარ წყობისათვის, სადა თვითონ დამწყებნი თავის ხეირს დაეძებს. მთელი მოგება თვითვეულ იმ ღვინის პატრონისათვის არის გადადებული, რომელიც წევრად შესული და თუ საზოგადოება იღებს რასმე შუამავლობისათვის, მარტო იმოდენას, რაც საკმაოა მიუცილებელ ხარჯისათვის, რომელსაც თვით კრება საზოგადოებისა ამტკიცებს.

განვმარტეთ რა ზოგადის ნიშნებით საგანი „კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოებისა" და ისიც, რომ თვით „საზოგადოებას" უარუყვია ყოველივე აზრი გამორჩენისა საკუთრად თავისთვის, ყოველს წვლილს ვერ გამოვუდგებოდით, რადგანაც ეს მოითხოვდა თითქმის მთელის წესდების გადმოწერას და ახსნას. ეს-კი სათქმელია, რომ ამ „საზოგადოების" დამფუძნებელთ იმედი აქვთ, მთავრობა თანაგრძნობით მიიღებს მათ მიერ შედგენილს წესდებას. იგინი ამბობენ, რომ ამ „საზოგადოების" დადგენა არამც თუ აცილებს კახეთს ღვინის საქმის დაცემას, არამედ გააძლიერებს შესაძლო საზღვრებამდე.

ეს გარემოება არ უნდა დავიწყებულ იქმნას თვით სახელმწიფოს ინტერესების მხრითაც, რადგანაც მთელი ორი მაზრა კახეთისა (თელავის და სიღნაღის) და ნაწილი მესამისაც (თიონეთისა) შეჰყურებს ღვინოს, როგორც ერთად-ერთს წყაროს ცხოვრებისას და სახელმწიფო ხარჯის ხდისას. ცოტად თუ ბევრად შეწყვეტა ამ წყაროსი ღონეს მოაკლებს იქაურ მკვიდრთა და მეტის-მეტად გაუჭირებს ცხოვრებას და ხარჯის ხდასა მაშინ, როდესაც ბუნება კახეთისა ხელს უწყობს ადამიანს ღვინის საქმის გაძლიერებისათვის. გაძლიერებული კახეთის ღვინის საქმე, კარგად და ეხლანდელ მეცნიერების შემწეო-

## ფელეტონი

### შენიშვნები

#### ახალციხის მაზრის ქართველთა შესახებ.

მეურნეობა.—ეკონომიური ყოფა-ცხოვრება.—ხასიათი.—ტანისამოსი.—ლაპარაკის კილო.—ზნეობა.—სკოლები.—ზოგიერთა ქორწინების და ნიშნობის ჩვეულებანი.—სახლ-კარის მოწყობილობა.—სახსარი ფულის მოგებისა.

(დასასრული *)

ლაპარაკი ნარევი აქვს აქაურ ხალხს. ქართულ ლაპარაკში ხშირად ურევენ თათრულ სიტყვებს და კილო ხმისა უფრო თათრულს ჰგავს, ვიდრე ქართულს. ქართულს სიტყვებს, რასაცკი ამბობენ, წმინდათ და მკაფიოდ აბოლოვებენ; სიტყვის ბოლო მარცვლების ჩაყლაპა სრულებით არ იციან. ლაპარაკში ხშირად ურევენ ძველ ქართულ-საეკკლესიო სიტყვებს, მაგრამ დაბოლოებანი სიტყვებისა ცოტა რამ ურიულს კილოსაც ჰგავს.

ზნეობის მხრივ აქაური ხალხი თითქმის ყველა მხრის ხალხზედ მაღლა სდგას. გარყვნილი, აღვირ-აშვებული ცხოვრება აქეთ, არც მამა-კაცთა და არც დედაკაცთა შორის არ შეინიშნება. ხალხი ცუდს, ბოროტ ღვთის საგმობელ საქმეებს ძრიელ ერიდება; ეკკლესიებს, სამღვდელოთ და დღესასწაულებს დიდის მოწიწებით და შიშით ეპყრობა. წირვა-ლოცვაზედ სიარული საშინლად უყვართ. სამღვდელოს წყევლას და რისხვას ძალიან ერიდებიან.

სკოლების რიცხვი ამ ხალხში მხოლოდ სამია: ტოლოშში, მუსხში და ვალეში. ამ სამთავე სკოლებში ორთა-შუა რიცხვი შეგირდებისა იქნება 105, ე. ი. თვითოეულ სკოლაში ორთა-შუა რიცხვით მოდის 35. ტოლოშის სკოლა დიდი ხანია არსებობს და ეს ორი უკანასკნელი სკოლა—მუსხისა და ვალისა, დიდი ხანი არ არის, რაც გაიმართა. ხალხი ჯერ მიმხვდარი არ არის სწავლის სარგებლობას და ბავშვებს დროიან-უდროვოდ აცდენენ ხოლმე სკოლაში სიარულსა, მეტადრე შემოდგომისა და გაზაფხულის მუშაობის დროს. ზამთრობით-კი ღვთის წინაშე, ბლომა რიცხვი მოწაფეებისა დაიარება მაგრამ რა გამოვიდა? ზამთარში შემოსული ბავშვები ადრე-გაზაფხულით ისევ გაჰყავთ და გვიან შემოდგომით ხელ-ახლად აბარებენ. ბავშვი ივიწყებს იმას, რაც ზამთრის განმავლობაში შეიძინა და ახლა ხელ-მეორედ უნდა დააწყებინოს მასწავლებელმა სწავლა. ყოველივე ესე ბრალია მშობლებისა და არა თვით ბავშვებისა. აქაურს გლეხს რომ ეტყვი, რჩევას მისცემ—შვილი ნუ გაგყავს სკოლიდგანაო,—გიპასუხებს: წაიყვანეთ, პური აჭამეთ, ჩააცვით—დაჰხურეთ, მეხრის ფასი მომეცით და აღარ გამოვიყვანო. აქედგან ცხადად სჩანს, რაოდენად ნაკლებად აფასებს ხალხი სწავლასა და რამდენად უჭირს მისი შრომა სახლში. ამიტომაც საჭიროა, ხსენებულმა სკოლებმა, რაც ძალი და ღონე შესწევთ, დაუზოგველად ყოველის შრომისა და ჯაფისა, ხალხს განულვიძონ სწავლის სიყვარული და შეაგნებინონ მისი სარგებლობა და მნიშვნელობა; განუმარტონ, რომ სკოლები მათ კეთილ-დღეობისათვის არის დაარსებული და ისრე ნუ შეჰხედავენ როგორც საბეგრო დაწესებულებას. შემთხვევა მქონდა მესაუბრნა, მერჩია, ერთი ბედოვლათის ხუთი ვაჟიშვილის პატრონისთვის, რომ ერთ-ერთი ბავშვი სკოლაში გამოეგზავნა, მაგრამ ჩემს სიტყვას არ იკარებდა და ბოლოს, რომ ვერას გახდა, მითხრა: „უჩიტელო", რაღა მე დამინახე, მარტო მე ხომ არა მყავს შვილები, აიგერ სხვასაც ბევრი ჰყავს, ისინი თუ გამოჰგზავნიან, მეც გამოვგზავნი, თუ არა და, არც მე გამოვგზავნი, მარტო ჩემი ვალიაო"?!.

ნიშნობის დროს ვაჟის პატრონმა აუცილებლივ ქალის პატრონს უნდა მიუტანოს წინადვე გადაკვეთილი მეზობლების მიერ: სასძლოს ორი ხელი ტანთ-საცმელი თავით ფეხამდე, ე. ი. ერთი ხელი ხასი-აბრეშუმეულობის ფარჩისა და მეორე ხელი—ხამ-ჩითეულობისა; საწვრიმალო: დანა, მაკრატელი, ძაფები მრავალ-გვარი და მრავალ-ფერი, კევი, ხელის საპონი, „ინა" (ხელების შესაღები) და სხ.; რძლის ოჯახობას: ორი ცხვარი, რამდენ კაცსაც ვაჟის მამა წაიყვანს თან რძლის სანახავად, იმდენივე თუნგს არაყს წაიღებს, ქადა-ნამცხვარი და სხვები. ვაჟის პატრონმა და თან წაყვანილმა მის მიერ კაცებმა რძალს უნდა აჩუქონ ფული 10 მანეთიდგან დაწყებული 3 მანეთამდე თითოეულმა; ყველაზედ მეტი უნდა აჩუქოს მამამთილმა, ან მაზლმა, შემდეგ იმისა ერთი-ორი მანეთით ნაკლებ იმისმა უფრო დაახლოვებულმა ნათესავმა და სხვებმა, რიგ-რიგობით, ასე რომ ახლად დანიშნულს ქალს ამ ნიშნობაში შეუდგება ხოლმე სამი-ოთხი თუმნიდგან დაწყებული, ვიდრე ათ თუმნამდე, მონიშნე კაცების რიცხვის და შეძლების დაგვარად. მოტანილი სასმელი და საკლავები იხარჯება ქალის სახლში ნადიმობის დროს.

ქორწილისავე ხარჯიც ესეთია, მხოლოდ ორი ხელი ტანისამოსის მაგიერ, ერთი ხელი კაი ხასი-ფარჩეული უნდა მიუტანოს ვაჟმა პატარძალს. მამის გატანებული ქალისათვის მზითევი არის: ერთი უპროლო შეღებილი კიდობანი, ერთი ხელი ლოგინი, ერთი ხელი ტანისამოსი, ერთი ქეჩა, ერთი ჰილობი და ერთი ფარდაგი; მდიდარი ხალიჩასაც გაატანს ხოლმე. მეზობლებმა „ზი-

*) იხ. „ივერია", № 23.

ბით რიგიანად წარმართული, შემძლებელია რუსეთს შეუმოკლოს საჭიროება საზღვარ-გარეთიდამ ღვინის ზიდვისა და იგი დიდ-ძალი ფული რუსეთისა, რომელიც დღეს საზღვარ გარედ გადის, შინვე რუსეთში დატრიალდება მისთა მკვიდრთა საკეთილდღეოდ. გარდა ამისა ხელ-შეწყობა, რომ ნამდვილი, შეურევნელი კახური ღვინო შეტანილ იქმნას რუსეთის ბაზარში, სასურველია საერო ჯანმრთელობის მხრითაც, რადგანაც დღეს რუსეთში საღდება წამლებით მოწამლული ღვინო შინაური, თუ გარეული და ეს, რა თქმა უნდა, უვნებლად არ ჩაუვლის ხოლმე ერსაო.

ყოველივე ეს მით სასურველიაო, ამბობენ დამფუძნებელნი, რომ კახურის ღვინის ბუნებრივი სიკეთე ყველასაგან ცნობილია და, თუ ბაზარი გაეხსნა, ამის მიხედვით განკარგდება ვენახების კეთება, გაიმატებს ვენახების მოედანი და გაძლიერდება ღვინის საქმე და ამ გზით რუსეთის ბაზარი შეიძენს მარგებელს სასმელს იმოდენად ბევრს, რომ დიდძალს ღვინოს საზღვარ-გარეთისას განდევნის და დიდად შეაფერხებს, თუ სულ არ მოსპობს იმ მოწამლულ სასმელთა ბაზარში სვლას, რომელიც დღეს ღვინის სახელით საღდება და იყიდებაო.

## გაცრუებული იმედი

მესამე წელიწადია, რაც რუსეთის დამშეული ხალხი სტოვებს სამშობლოს და ჩამოდის ჩვენში.

ეს საცოდავნი გადმოცვივნულან თავის ქვეყნითგან იმ იმედით, რომ საქართველოს უხვსა და მდიდარს ბუნებას ჩვენთვისაც მოეპოვება საზრდოო. მრავალნი ამათგანი ჩამოსულან სამუდამოდ დასასახლებლად!

სამწუხარო სანახავია, როდესაც ჰხედავ ამოდენ ბედისაგან განწირულ, შორს ქვეყანას უპირისუფლოდ და უღონისძიებოდ გადმოტყორცნილ ხალხს! ადამიანის გაჭირვებაში ნახვა, რომელსაც არც ბინა აქვს და არც პური, ძნელია, მაგრამ ათას წილად უფრო გულის დამაღონებელი დ შემაძრწუნებელია, როდესაც ასეთს მდგომარეობაში ჰხედავ სუსტსა და უძლურს არსებას—დედაკაცებსა და ბავშვებს.

პირველი გრძნობა, რომელიც ებადება კაცს—სიბრალულისა და დახმარების სურვილია. მაგრამ თითოეულის ღონე, სიყვარული და თანაგრძნობა საზოგადოდ ადამიანის მიმართ აქ უძლურია; ყოველი ეს უნდა ჩაიქროთ გულში, გაქვავდეთ და შეუდგეთ უნებლიეთ იმ მოვლენის გამოკვლევას, თუ რად ჩავარდნილან ეს საბრალონი განსაცდელში და რამ დაატოვებინა საყვარელი სამშობლო, რომელიც იქნება ვერასოდეს ვეღარ იხილონ?!

უმთავრესი მიზეზი ასე უგზო-უკვლოდ აყრისა თავის ბინიდგან არის ის შემცდარი აზრი, რომელიც, გავრცელებულია რუსთა შორის: ვითომ ამიერ-კავკასიაში მრავალი თავისუფალი მიწა იყოს და ამ მიწას მუშა ხელი აკლდეს. მაგრამ, როდესაც ჩამოდიან დ რწმუნდებიან, რომ აქ რუსეთზედ უფრო დიდი ვიწროობაა ადგილისა და დაუმუშავებელი მიწა თითქმის არც არის, იმედ-გაცრუებული საბრალო მშიერი ხალხი ჰკარგავს სასოებას და იწყებს მოწყალების თხოვას.

ასეთი სამწუხარო ბედი გადმოსახლებულის ხალხისა საყურადღებოა არა თუ იმ მოხელეთათვის, საიდგანაც ისინი მოდიან, არამედ თვით კავკასიის მთავრობისათვის.

ხუმრობა საქმეა ამდენის უბინაო ადამიანის თავის გატანა და მოვლა!

გარდა იმისა, რომ საცოდავობაა ამ დამშეულის ხალხის წანწალი და ტანჯვა, ასეთი აყრა ფუძისა და დაგდება სამშობლო მიწისა, რომელსაც მუშა სჭირია, საზარალოა თვით სახელმწიფო ეკონომიისთვის.

ჩვენს დროში, როდესაც ყოველის ამბის და გარემოების შეტყობა ერთს წამს შეიძლება, ამაზედ ადვილი რა არის, რომ მთავრობამ იმ ადგილისამ, საიდგანაც ხალხს აყრა სურს, წინდაწინვე გამოიკითხოს, შეიტყოს სადაც ხალხი აპირობს გადასახლებას—არის თავისუფალი ადგილი თუ არა და, თუ აღმოჩნდება, რომ მოსახერხებელია ხალხის სურვილის დაკმაყოფილება, მხოლოდ მაშინ მისცეს ნება აბარგებისა.

თორემ რა წამალია ეხლანდელი წესი, რომ მთელი სოფელი მოდის, მაგრამ ის-კი არ იცის, სად მოდის და რა მოელის დამშეულ ხალხს! ნება-რთვა აყრისა დაბინავებული ოჯახისათვის, როდესაც მეორე ბინა ჯერ მოძებნილი არ არის, არ გვგონია რაიმე შველა იყოს გაჭირვებულთა.

ამას გარდა მეორე მიზეზიც არის, რომლის გამო რუსის ხალხი ადვილად ელევა თავის სამშობლოს. ვინც რუსეთში ყოფილა იცის—რა ერთ ფერია და ერთ გვარი მისი თვალ-გადუწვდენელი მინდორ-ველი, რომელიც არასფრით არ განსხვავდება ერთი-მეორისაგან. ამ რამდენისამე ათას ვერსზედ გადაჭიმულ ადგილებში ისეთი არა მოიპოვება-რა, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდეს ადამიანის გულში და უნერგავდეს იმ ადგილის სიყვარულს, სადაც დაბადებულა.

ამიტომ როდესაც მიწა რამდენსამე წელიწადს მოსავალს აღარ იძლევა და მუშამ არ იცის, როდის ეღირსება, რომ კუჭი გაიძღოს,—ხალხი სულ ადვილად სტოვებს თავის ქვეყანას და სხვაგან მიდის უმჯობესის საძებრად.

რასაკვირველია, ყოველის საქციელის ახსნა და გაგებაც შესაძლებელია, მაგრამ არა ყოველი საქციელი და მოქმედება არის სასარგებლო და გონიერი.

სწორედ ასეთ საგანთა რიცხვს ეკუთვნის რუსეთითგან ხალხის გადმოსახლებაც ჩვენში.

საჭირო არის და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ თუ შიდა გუბერნიის მთავრობამ არ მიაქცია ყურადღება უაზროდ და უსაფუძვლოდ ხალხის გადმოსახლებას, კავკასიის მთავრობა მაინც არ მოაკლებს ზრუნვას ამ გარემოებას.

მეველე

# ახალი ამბავი

⁂ აქამდე რკინის გზის სადგურები დეპეშით აუწყებდნენ ერთმანეთს რომელი მატარებელი საიდგან მიდის-და-მოდისო. ეხლა ამისათვის და აგრეთვე ტელეგრაფის მოხელეთა შესამცირებლად რკინის გზის მმართველობას განუზრახავს ტელეფონი შემოიღოს. საცდელად პირველში ჯერ სამტრედიიდგან ფოთამდე იქნება გაყვანილი ტელეფონი თითო სადგურზედ ორ-ორი, რომელიც მომავალ კვირიდგან დაიწყებს მოქმედებას.

⁂ კავკასიის ხე-ტყეს აქამდე ხმარობდნენ ყუთების გასაკეთებლად, შენობებისათვის და სხვა წვრიმალ მასალად. საზღვარ გარედ გზავნიან ხომალდებისა და ცეცხლის გემებისთვის მაგალითად, ამ თვეში მარსელში ორჯერ გაჰგზავნეს ბათუმიდგან დიდძალი ტყე საფრანგეთის ერთ ხომალდების მკეთებელ ფირმისათვის და ეხლა ბათუმში კიდევ მოელიან ცეცხლის გემს მარსელში ხე-ტყის წასაღებად, ამისა გამო რკინის გზით იმერეთიდგანა და გურიიდგან ბათუმში დიდ-ძალ ხეტყეს ეზიდებიან.

⁂ ოჩამჩირის სასწავლებლის ზედამხედველის ლიზ. ხმალაძისაგან მოგვივიდა მას მიერ შეკრებილი დ. ოჩამჩირაში 65 მან. შოთა რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა გვქონდა 764 მან. 82 კაპ., ამიანად შესდგა 829 მან. 82 კაპ., შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ რკინის გზის შტოს გაყვანას ხაშურიდგან ბორჯომამდე დაასრულებენ მარტში. ამ ჟამად რკინის გზის ლიანდაგი მტკვრამდეა გაკეთებული და მტკვარზედ ხიდის აშენებას გაათავებენ თებერვლის დამლევს. ამ დღეებში შეუდგნენ რკინის გზის სადგურისა და გზის ზედამხედველობისათვის სადგომების აშენებას. მაისიდგან მატარებლები დაიწყებენ ხაშურსა და ბორჯომს შუა მისვლა-მოსვლას.

⁂ გუშინ ქალაქის ტეხნიკოსმა ბ-ნმა მელიქ-ბეგლიაროვმა წარუდგინა ტფილისის პოლიცმეისტერს ხარჯთაღრიცხვა ტფილისში ღარიბთათვის ღამის თავ-შესაფარის ასაგებად.

⁂ ტფილისის პირუტყვთა-მფარველ საზოგადოების მიერ გორში დანიშნული მზრუნველი სთხოვს ამ საზოგადოების მმართველობას შუამდგომლობას გორის მაზრაში ბეითალთა რიცხვის გამრავლების შესახებ, რადგანაც ამ მაზრაში საქონლის ჭირი გაჩნდა და მაზრის ორი ბეითალი ვერ ასწრობს წასვლას იმ სოფელში, სადაც საქონლის ჭირია გაჩენილი მისდა მოსასპობლად, რათა სხვა სოფლებშიაც არ გავრცელდეს.

⁂ გურია: გურიაში ხალხს ართმევენ თოფებს, უფრო ბერდანკებს და მაღაზინკებს. ამ გვარ თოფებთან ერთად ართმევენ აგრეთვე ძველებურს ქართულ თოფებსა და ფისტონიანსაც. ამ იარაღის გამორთმევის დროს ხშირად მოხელენი მეტის-მეტის უდიერობით ექცევიან გლეხკაცობას და უფრო-კი დედა-კაცობას. ამას წინად ერთს სოფელში მოხელენი მიუცვივდნენ ერთს მშვიდობიანს ოჯახს ბერდანკის წასართმევად. სახლის პატრონი შინ არ იყო, იყვნენ მხოლოდ მანდილოსნები. მოხელეებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს და ისე შეაშინეს საბრალონი, რომ ერთი დღესაც ავად არის.

## დამაკვირდი

ძუნწს ერთად-ერთი ნატვრა აქვს: სურს, რომ თავისი მემკვიდრე თითონვე იყოს.

**

საიდუმლო შენი პატიმარია, ვიდრე იცავ, ხოლო თუ ვერ შეინახე, მაშინ ჰხდები იმისი პატიმარი.

მეიდანი (არაბ.)

**

გული ტანჯვის მდუმარედ ტარებას შეიძლებს, მაგრამ სიხარულს-კი უტყვად ვერ დასტოვებს.

გეტე

## ნაწყვეტები

ვარდო, მჩხვლეტავი ეკლები
ნუ გინდა, დამამსხვრევინე,
მეგ შენსა ბროლის ყელზედა
ხელები მომახვევინე,

---

თებში" შესაწევარიც იციან: თვითოეული მეზობელი, ვინც-კი ქალის მამის მიერ დაპატიჟებულია, შეეწევა თითო-ოროლა სპილენძის „საიხებით" (თასებია), თითო-ოროლა არშინ ჩითეულობით, „წინდა-პაჭიჭით" და სხვებით. ამასთანავე ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მამა ქალისა, სხვათა შორის, კიდევ ატანს, თუ მდიდარია: ქვაბსა, ტაფასა, ტასტსა, „მაშრაფასა", თუნგსა («ვუგუმსა») და სხვა სპილენძეულობას. მაყრობა და ჯირითობა ჩვეულებრივია. პატარძალი ჯვრი-საწერადაც და ვიდრე ქორწილი არ გათავდება დიდი წითელი აბრეშუმის „ჩარყათით" (ბადლათით) პირ-ჩამოფარებული უნდა იყოს.—ვაჟის ქორწილი ჩაღდება დედოფლის მიყვანის უმალვე. მეორე დღეს შესაწევარი—,,სანიჭარი'' იმართება. შესაწევარი გროვდება ნათესაობის ხარისხის დაგვარ: ახლო ნათესავი ბევრს აძლევს, შორეული-კი —ცოტას, მეზობლები ყველანი თანასწორ, ასე რომ ერთ აბაზზედ ქვევით ,,სანიჭარი'' *) არ მიიცემა.

,,სანიჭარი" სულ პირველად უნდა გამოიღოს მეჯვარემ, მერე ნათესავებმა და სულ ბოლოს მეზობლებმა. ქორწილი სამს დღეს გრძელდება და საღამოთი ნეფეს გაანადირებენ ბანზედ მაყრებით ერთად. აქ, ბანზედ ლხინობენ, აქეთ-იქიდგან მოჰყავთ ქათმები და თითო დაკვრით ნეფემ, მეჯვარემ და მაყრებმა თავი უნდა გააგდებინონ ხანჯლით. ამ „ნადირობაზედ" იმოდენა ქათმები შეგროვდება ხოლმე, რომ იმ ღამეს ვახშამი მხოლოდ ქათმის ხორცისა კეთდება. ამით თავდება კიდეც ქორწილი.

სახლ-კარის აგებულობა ახალციხის მაზრის ქართველებში მეტად ცუდია. უბრალოდ გაკეთებულს ქვის კედლებზედ გადაგდებული აქვს შუა ადგილას მსხვილი ძელი, რომელსაც აქ „გასაყარს" უწოდებენ და ამ გასაყარის გვერდებიდგან კოჭები აქვს დაწყობილი. ამ ნაირად აკეთებენ უფრო საბძლებს, ბოსლებს და ფარდულებს. სადგომი სახლები ესრევეა აშენებული, მხოლოდ ერთის ძელის მაგიერ რამდენიმე ძელი ერთიერთმანეთზედ გადახიდულია და ამ ნაირ სახლს აქ დარბაზს უწოდებენ, მაგრამ იგი ჯავახურს დარბაზებს შორს ჩამოურჩება. სახლებში არავითარიმე ტახტი ან საჯდომი რაიმე არ მოიპოვება. სხდებიან ზედ დედამიწაზედ გაშლილს ჭილობზედ, ან ქეჩაზედ; ლოგინებსაც დედამიწაზედ იგებენ. ახლა შემოიღეს ცოტცოტაობით სახლებში ტახტების კეთება. სახლების მოწყობილობა თაროებზედ ჩამომწკრივებული რამდენიმე თიხის ჯამი, ქვაბები, თასები, ტაფა, პურის გოდრები, კიდობნები, ფქვილის ტომრები და სხვები. დერეფნებში და ფარდულებში ულაგიათ პურის ამბრები, სამეურნეო იარაღი, უღლები, ჯამბარა-ღვედები და სხვ. აქაურ ქართველების ლოგინი, თვით შინაგანი განწყობილობა სახლებისა, თარო-კედელი, ჭერი დ სხ. სისუფთავეს მოკლებულია; ამიტომაც არის ხოლმე, რომ თუ სადმე სნეულობა შევიდა, დიდხანსაც ჰბუდობს. სახლები მეტად ვიწრო, უსწორ-მასწორო და დაბლებია. შიგ თავისუფლად ადამიანს ვერ შეუძლიან ამოისუნთქოს და იცხოვროს. სიბნელე, სინოტიე, უსუფთაობა და სივიწროვე სახლებისა, ცუდს საჰიგიენო ვითარებაში აგდებს ხალხს. ხალხი, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ისე შესულა ფულის შეგროვების ინტერესში, რომ სახლების რიგიან მოწყობილობაზედ არასფერს არა ჰზრუნავს...

ფულის შემოსავალი აქაურს ხალხს არ აკლია. ბუნება მდიდარია აქეთ: მტკვრის პირზედ მოსახლე მცხოვრებლები მისდევენ თევზაობას (აქეთკენ თევზი ბევრი და კარგის გემოსიც არის) და ზამთარ-ზაფხულობით აუარებელს თევზს იჭერენ. თევზი, მეტადრე ზამთარში, ძალიან კაი ფასად ისყიდება. მიაქვთ საპალნეობით მოხარშული თევზი ქუთაისისკენ, ბორჯომისკენ, სურამ-ხაშურისკენ და ფუთს 8—9 მანეთამდე ჰყიდიან, აგრეთვე აქაც მოდიან სხვა მხრებიდგან ვაჭრები და წყლის პირზედვე ჰყიდულობენ. აქაურ თევზებში უფრო გათქმულია „ოჩხისა", „ფიჩხულისა", „ოსაროსი" და „გოდრის" თევზი.

ტყე-კლდეებში და წყლებში ბუდობენ მრავალნი ფრინველნი: კაკაბი, გნოლი, იხვი და სხ. ნადირნი: მგელი, დათვი, მელა, კურდღელი და სხვები, რომლებიც ცოტა სარგებლობას არ აძლევენ ხალხს. გაზაფხულით კლდეებში ჰკრეფენ ლოკოკინას, ჩააქვთ ახალციხეს ფრანგებთან და კაი ფასად ასაღებენ. ლოკოკინას ფრანგები დიდ-მარხვაში ხმარობენ საჭმელად,—მოხრაკული ლოკოკინა ფრანგების გემრიელი საჭმელია. ასი ლოკოკინა აბაზად ისყიდება.

კლდის უცვეთელა ცოცხსაც მცხოვრებლებისათვის, ცოტა სარგებლობა არ მოაქვს; ქალები, კაცები და ყმაწვილები მოესევიან კლდეებს, ჰკრეფენ უცვეთელა ცოცხს, კონა-კონა ჰკრავენ და თითო კონას ოროლ კაპეიკათ ჰყიდიან ახალციხეში.

ახალციხე—ახალქალაქის საფოსტო გზიდგანაც ცოტა ფულს არ იღებენ. იქ ხშირად მუშაობს ხალხი, უფრო გზის ნაპირა სოფლებიდგან, და დღიურს ფასს თითო კაცი 60 კ. ისვამს ორთა-შუა რიცხვით. ზაფხულში და გაზაფხულზედ ხალხი ბაზრებში ბევრს სატაცურსა და ყვავილს ასაღებს.

ვ. კოპტონაშვილი

ს. მუსხი.

*) „სანიჭარი" საათაბაგოში ძველადვე სცოდნიათ. (იხილ. ნ. ურბნელის „ათაბაგნი" 157 გვერდი).

ეგ შენი ორი კოკორიც
გულ-მკერდში ჩამახვევინე,
და თუნდა მერე მარტოკას
მთა და კლდე მომახვნევინე!

—

მარტო ნათქვამი სიტყვითა
არავინ არ დაფასდების,
თუ რომ ნათქვამს მისი მთქმელი
უწინ თითონ არა შვრების;
როცა კაცი თავის სიტყვით
ანგელოზსა ედარების,
და საქმით-კი ეშმაკსა ჰგავს—
ღირსილაა იგი ქების?!

—

სურვილსა და სიყვარულსა
შეუქმნიხარ, გულო, მკვდარი,
ნულა ჰკვდები, ამოღვარე
ტანჯვის ცრემლის ნაგუბარი,
აგისრულდა საწადელი:
ყელს მეხვევა მზე-ნარნარი,
ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად
მიჩნდა, დღეს-კი სულ სხვა არი!..

## ტელეფონი

—

— ნურას უკაცრავად-კი და ეგ რა დაგიწერიათ?

— რაო?

— ქალაქ ახალქალაქში სასწავლებელი არ არისო და იქ-კი თურმე სამი სასწავლებელი ყოფილა. აბა წაიკითხეთ, თუ არა გჯერათ, ახალქალაქელის წერილი გაზ. „Нов. Обоз.“-ში. რუსულის გაზეთის რედაქცია შენიშნავს კიდეც, რომ იქნება „ივერიის“ კორესპონდენტს სოფ. ახალქალაქი ჰქონდა სახეშიო.

— ვერც „ახალქალაქელს“ გაუგია და ვერც შენიშვნის მომცემს. ჩვენი კორესპონდენტი სწორედ ქალაქზედ ამბობდა და არა სოფელზედ, რომ ქ. ახალქალაქში ჩვენთვის ერთი რიგიანი სასწავლებელი არ არის, თუმცა ამოდენა ქართველობა სცხოვრობს აქაო. იქ-კი თურმე ორი სომხური ქალების სასწავლებელი ყოფილა, წმ. სანდუხტისა და მესროპის სახელობაზედ, და ერთი საქალაქო „училище“ და არც ერთში ასწავლიან ქართულს, არც მეორეში, არც მესამეში...

**

— რა გნებავთ?

— ავად ხომ არავინა გყავთ.

— მერე რაო?

— ჩვენში ერთი მკურნალი გამოჩენილა, თურმე ერთის თვალის გადავლებით ხუთის ნაბიჯის მანძილზედ, თუნდა ავადმყოფი ზურგ-გაბრუნებულიც იწვეს, შეიტყობს რა სატკივარიცა აქვს. იქნებ აჩვენოთ თქვენი ავადმყოფი.

— არა, ძმაო, არ გვინდა, ჩვენ ორის თვალით ავადმყოფების მაინჯველ ექიმებს უფრო ვეწყობით და თვალ-ჰუტია გულთ-მისნებისაგან-კი ღმერთმა დაგვიფაროს!..

მეარავარ

## ქართული თეატრი

„გამწარებული ცხოვრება“, დრ. 4 მოქმედ., გადმ. რუსულიდგან.

შეიძლება რეცენზიის მწერალმა არა სთქვას-რა და დუმილით ჩაატაროს წარმოდგენა, თუ პიესა ნათამაშევია, უწინდელივე არტისტებმა წარმოადგინეს და წარმოდგენამ შუათანად ჩაიარა. მაგრამ როდესაც წარმოდგენა მეტად კარგად, ან მეტად დუხჭირად ჩაივლის, და მერე ისიც ახალის პიესისა, მაშინ-კი ძნელია ბაგეთა არ-ახსნა. გუშინ-წინ, პარასკევს, ქართულს სცენაზედ გამართული წარმოდგენა-კი ერთი ამათგანი იყო.

რა შინაარსისაა «გამწარებული ცხოვრება»? მაგდენად არაფრისა. გონება ირთავს ახალგაზდა ცოლს, ცოლი ჰღალატობს, რასაკვირველია, შფოთისა და ამბოხების შემტანი ოჯახში ულვაშ-გაწკეპილი ყმაწვილი კაცია. ცოლ-ქმარნი განშორდებიან. იმ ყმაწვილს კაცს, რაღა თქმა უნდა, მოჰბეზრდება თავისი საყვარელი. გონებაზედ მოსული ქალი ჰნანობს, რასაკირველია, რად ჩავიდინე ასეთი საქციელიო. ეჭვი არ არის, ქმართან უნდა, დაბრუნება. ქმარიც იტანჯება, რასაკვირველია. ქალი მივა ქმართან, ბოდიშს იხდის და შერიგდებიან რაღა თქმა უნდა.

ერთის სიტყვით, პიესის შინაარსი „არ ახალია—ძველია“ და საგანი ათასჯერ და ათი ათასჯერ აწერილი. შიგა და შიგ პრტყელ-პრტყელ, გაჰპანურებულს დიალოგს ბევრს შეჰხვდებით, გაცვეთილი სიტყვებითა და ფრაზებით სავსეს.

თარგმანი? ხშირად მოისმის სცენიდგან ასეთი სიტყვები: „მცხამს“ ვითომ მცხელიაო, „მოუსვენებელს მოსვენებაშია“ და ისეთს ქართულს, რომელსაც ვერც ერთი რჯულის ადამიანი ვერ გაიგებს. არ ვიცით, მთარგმნელის დაწერილია ასე, თუ მხოლოდ არტისტების მიერ თქმული.

უნაკლულოდ რომ წარმოდგენილიყო, იქნება კიდევ რიგიანობის ნიშანწყალი დასდებოდა პიესას, რადგან ავტორს სცენის ცოდნა და გამოცდილება ეტყობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველს მის ნაკლულევანებას ზედ დაერთო როლების უცოდინარობა, დუხჭირად თამაშობა, უალაგო-ალაგიანად ხელების ქნევა, მწუხარების დროს გაღიმება და ღიმილის დროს მისი არ-გამოუხატველობა და ცეცხლს ჩასაქრობად ნავთი დაასხესო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი საქმე დაემართა საბრალო პიესასაც.

მხოლოდ ერთი ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი იყო „ჰმუნვის განმქარვებელი“ და ზოგიერთი ადგილები, მეტადრე სადაც მწუხარების აღნიშვნა და ქვითინი უნდოდა, ისეთის ხელოვნებით ჩაატარა, რომ ისეთს არტისტებთან თამაშობის დროსაც-კი აღტაცება გამოიწვია. ბ-ნ შათირიშვილს უხდებოდა სულელის როლის თამაშობა და მაგდენი არა დაუშავებიარა, უმიზეზოდ და უსაბამოდ სცენაზედ სიარულის მეტი.

ქ-ხმა ავალიშვილისამ თავისი როლი, მეტადრე პირველს მოქმედებაში, სულ არ იცოდა და სიტყვები რომ ვეღარ მოეგნო, ჩქარ-ჩქარა მიიტანდა ხოლმე ხელსახოცს პირთან და ხელს გულთან, ვითომ-და ისე ძწუხარედა ვარ, რომ ლაპარაკი ვეღარ მომიხერხებიაო. ბ-ნი გუნია-კი არა თამაშობდა, მხოლოდ ლაპარაკობდა, უალაგო-ალაგას იცინოდა და თავისი როლი თითონაც ვერ გაეთვალისწინებინა, ვინ იყო და რა.. არ ვიცით რა მიზეზით, თავის ლაპარაკს ამ დრამაში გურხის კილოს აძლევდა და ისეთი სასაცილო ლაპარაკი მოსდიოდა, რომ თითონაც-კი ეცინებოდა თავის თავზედ... დანარჩენებზედ არას ვიტყვით, რადგან უმნიშვნელო როლები ჰქონდით და არც არა წაუხდენიათ-რა, არც არა გაუკეთებიათ-რა:

ჩვენს სცენაზედ ამ სეზონში ასეთი ცუდი წარმოდგენა ჯერ არ გვინახავს.

საზოგადოება იყო ცოტაოდენი.

ამას უნდა დავსძინოთ, რომ ვიღაც კონტროლიორი ქართულის თეატრისა წარმოდგენის დროს შედიოდა და გამოდიოდა თეატრში, ფეხზედ მდგომთ ხმა მაღლა ელაპარაკებოდა დასხედითო და სხ., რითიც ძალიან უშლიდა მაყურებელთ პიესა მოესმინათ. კარგი იქნება ამას ყურადღება მიაქციოს ვისაც ჯერ არს.

გარდმოხვეწილი

## სვანეთის ტყეების მოხმარება *)

მრავალ საუკუნო განვლილი ნაძვნარ-ფიჭვნარის ტყით დაფარულია მაღალი მთები ქუთაისის გუბერნიისა, ბათუმიდგან დაწყებული 75—250 ვერსამდე, რის შეტყობაც შეიძლება ყოველ ჩვენის იმპერიის რუკაზედ, რომელსაც-კი დაჰხედავთ.

ამ ჯერ ხელ-უხლებელს, უტეხს ტყეებში ჩამოდის კავკასიის მთებიდგან მდინარენი: სუფსა, რიონი, ცხენის-წყალი, ხოფი, ინგურა, კოდორი და სხვ., რომელნიც ერთვიან შავს-ზღვას სოხუმსა და ბათუმს შუა. ამ მდინარეებთან მდებარე ტყე ზოგი ეკუთვნის ხაზინას და ზოგი კერძო კაცთ.

რადგან ამ ტყეს არა ჰკაფავენ, არ იხმარებენ, რასაკვირველია, ამიტომ იგი ფასს მოკლებულია, უსარგებლოდ არის. ხეები-კი იმდენად დიდრონია და დიდ-ხნოვანი, რომ მათი გაკაფვა და რაც შეიძლება ჩქარაც, აუცილებლად საჭიროა და სასურველი. მცოდნეთა აზრით, ეს ტყე თუ კიდევ დიდხანს დარჩა გაუკაფავი, აღარც ხაზინას გამოადგება და აღარც კერძო კაცთ.

ჯერ კიდევ 1891 წ. ზაფხულში ლენტეხის საზოგადოებაში კავკასიისავე მცხოვრებმა ი. ლ. სერებრიაკოვმა გაზომინა ხენი საცდელად ტყის ათს ნაწილში და ითვლა შუა რიცხვით აღმოჩნდა, რომ *):

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | გოჯიანი | იყო | 1 | ხე |
| 7 | „ | „ | 3 | „ |
| 8 | „ | „ | 4 | „ |
| 9 | „ | „ | 4 | „ |
| 10 | „ | „ | 6 | „ |
| 11 | „ | „ | 12 | „ |
| 12 | „ | „ | 17 | „ |
| 13 | „ | „ | 23 | „ |
| 14 | „ | „ | 29 | „ |

ეს იგი ხუთიდგან თოთხმეტ გოჯის სიმსხო იყო 97 ხე. ამაზედ სხვილი ხე, მაგალითებრ, 15-ამ, 20, 24, 30 და ხშირად 48 გოჯამდე—368 ხე იყო.

აქედგანაც ნათლადა სჩანს, რომ კავკასიის ნაძვნარ-ფიჭვნარი ტყე ისეთ მდგომარეობაშია, რომ ძველი ხე ახალს უშლის ზრდას და, რასაკვირველია, ამით ბუნებრივი წესი, ერთის კაფვა და მეორეთა აღმოცენება, შეყენებული და შეჩერებულია.

კავკასიის ნაძვ-ფიჭვნარ ხეების სისწორე და სიმაღლე გასაოცარია. მაგალითებრ, ნაძვი, რომელსაც კაცის ნახევარ სიმაღლეზედ 12 გოჯის სიმსხო აქვს, სიმაღლით 48 ადლისაა და 19 გოჯი სიმსხოსი—76 ადლისა. პროფესორი კრასნოვი, რომელმაც სვანეთში იმოგზაურა 1890 წ., დაბეჯითებით ამბობს, რომ ხშირად შემხვედრია ნაძვის ტყეში ორმოცის საჟენის სიმაღლის ხეო.

იმის მიუხედავად, რომ ასეთი დიდებული და უხვი ტყეა ბათუმს ახლო, რუსეთს ავსტრიიდგან შემოაქვს ხე-ტყე და ამ ცოტა ხანშიც შვეციიდგანა და ამერიკიდგანაც-კი მოჰქონდა ეს მასალა რამდენიმე მილიონის მანეთისა. ამასობაში ჩვენ თითონ შეგვიძლიან დავაკმაყოფილოთ ტყის მასალით არამც თუ საკუთარი მოთხოვნილება, არამედ საზღვარ-გარეთაც-კი გავიტანოთ უფრო მომეტებულის ფასისა.

მაშ რისაგან ხდება ასეთი უცნაური ამბავი? იმის მაგიერად, რომ ჩვენ თითონ გავიტანოთ, ჩვენ სხვაგნიდგან შემოგვაქვს და ისიც ვერ მოგვიხერხებია, რომ შინაურ სახმარად მაინც გამოვიყენოთ?

უმთავრესი მიზეზი ამისი, რასაკვირველია, გზების უქონლობაა და აგრეთვე მოუხერხებლობა ზემოხსენებულ მდინარეებით მასალის ჩამოტანა, რადგან წყლები გაუწმენდელია და ტივის სავლელად მოწყობილი არ არის.

მაგრამ რომ მოვინდომოთ, მხნედ მოვეკიდნეთ, საქმეს ხელი მოვჰკიდოთ და მთავრობაც დაგვეხმაროს, ყოველივე მიზეზი შეიძლება დავსძლიოთ.

ეს ნათლად დაგვანახვა ბ-ნმა სერებრიაკოვმა, რომელმაც იჯარით აიღო უშველებელი ტყე (200 ათას დესეტინამდე) უგანათლებულესის თ. მინგრელსკისა. 1890 წელსვე, როცა პირველად ხმა გაისმა, რომ საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ ხე-ტყეს ბაჟი უნდა დაადონო, სერებრიაკოვი გასაოცარის მხნეობით შეუდგა თავის საქმეს.

თ. მინგრელსკის ტყეზედ ჩამოდის მდინარე ცხენის-წყალი და ერთვის მდინ. რიონს სამტრედიის სადგურს ახლოს. იმ ადგილას, სადაც მდინარე სჭრის რკინის გზას (3 ვერსზედ სამტრედიიდგან, 97 ვერს. ბათუმიდგან და 60 ვერს. ფოთიდგან). ბ-ნმა სერებრიაკოვმა გაჰმართა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც ეხლა მოტანილია თხუთმეტი ათასამდე დიდრონი ხე. გამოანგარიშებულია, რომ ამ ქარხანაში წელიწადში უეჭველად ერთ მილიონამდე კუბ. ფუტი ხე-ტყე უნდა დაიხერხოს, და თუ საჭირო იქმნება, უფრო მეტიც.

ასე განკარგება საქმისა, რასაკვირველია, ადვილი არ იყო. გარდა იმისა, რომ ასი-ათას მანეთობით ფული სჭირდებოდა ხარჯად, დიდი ბრძოლა იყო საჭირო მდინარესთან.

უმთავრესი ნაწილი იჯარით აღებულის ტყისა მდებარეობს ცხენის-წყალის ხეობაზედ და ცნობილია სადადიანო სვანეთის სახელით. ტყიდგან ქარხანამდე ას ვერსამდეა. 70 ვერ. მანძილზედ ცხენის-წყალის რუსხმული სავსე იყო წყლისაგან მოტანილ დიდრონის ქვით და ამიტომ ჯერ ამ ქვების ამოკრეფასა და რუსხმულის გაწმენდას მოუნდნენ მთელს სამს ზამთარს, როცა წყალი იმდენად პატარავდებოდა, რომ შესაძლო იყო მუშაობა. და მხოლოდ ამ ზაფხულს შეიძლეს ამ მდინარით ხე-ტყის ჩამოტანა.

გარდა ამისა, დიდი ფული და შრომა მოუნდა გზის გაკეთებას ამ ჯერ ხელ-უხლებელ და შეუვალ ტყეში. ზოგან მიუვალ ხეობასა და მთებზედ გახდა საჭიროდ გზის გაყვანა. ამ გზების კეთებასაც სამს წელიწადს მოუნდნენ იმ თვეებში, როცა ტყეში თოვლი აღარ იდო. ამ გასაჭირ მდგომარეობას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთათვის, თუმცა ძლიერ შრომის მოყვარენი არიან, ახალი იყო ეს საქმე და უთუოდ კარგი წინამძღოლი და გულ-მოდგინე საქმის მცოდნე იყო საჭირო, რომ ხალხიც გაეწვრთნა ამ საქმეში და აი ამასაც რამდენიმე წელიწადი მოუნდა.

ბ-ნმა სერებრიაკოვმა სწორედ დიდის მხნეობით დასძლია ყოველივე ეს დაბრკოლება. აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ამისთანა დიდის საქმის ხელ-ყოფა პირველი იყო, მეტადრე ისეთისა, რომელსაც ამოდენა შრომა უნდა და ასეთი დაბრკოლება უდგას სათავეშივე.

თუმცა პირველი არ არის ჩვენში კავკასიის ტყეების კაფვა და ზოგიერთ ადგილას ჩვენის ქვეყნისას, კიდეც გადააჭარბეს იმის მოხმარების სურვილს, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც ეგ საქმე ადვილია: ჰკაფე და ჰყიდეო, ამბობდნენ: ჰკაფე, რამდენიც შეგეძლოს, უწესოდ და ურიგოდ. აქ-კი სულ სხვაა. აქ საჭირო და აუცილებელია ტყის გაჭრა, თორემ აუარებელი სიმდიდრე იღუპება. ამ სიმდიდრის დახსნასა და გამოყენებას-კი დიდი მხნეობა და მეტად წინ-დახედული საქმის წარმოება უნდა და ჩვენი მდიდარი ქვეყანა-კი ძალიან ღარიბია ამისთანა საქმის მცოდნე კაცებით.

აი სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის ამისთანა საქმის კაცს, როგორიცაა ბ-ნი სერებრიაკოვი, რომელიც თავისის დაუღალავის შრომით და საქმის ცოდნით განავრცელებს ხე-ტყის წესიერს წარმოებას ჩვენს ქვეყანაში და აგრეთვე მეტად გაჰკრეჰურ ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიურა მდგომარეობას წინ წასწევს.

ჩვენის ქვეყნის მრავალი მთის მწვერვალი და ხეობა შემოსილია შეუვალის, ხელ-უხლებელის ტყით, დარჩენილი უსარგებლოდ, გამოუყენებლად, გზების უქონლობისა და მხნეობით სავსე საქმის დამწყებთა უყოლობისა გამო. კარგს მაგალითს ყოველთვის კარგი ნაყოფი მოაქვს და ამიტომ ბ-ნ სერებრიაკოვის მაგალითი ისე არ ჩაივლის, რომ მიმბაძავი არ აღმოუჩნდეს. ცხენის-წყალისთანა დაუდეგარი, ჩქარი და მიუკარებელი მდინარე თითქმის იშვიათია და თუ ეს მდინარე გამოაყენეს ხე-ტყის საზიდად, სხვა მდინარეების გამოყენება ამავე საქმისთვის უფრო ადვილი იქმნება. ადვილად საფიქრებელია ამას შემდეგ, ჩქარა დადგება ის დროც, როდესაც ჩვენის აუარებელისა და ჯერ უნაყოფოდ დარჩენილის ტყეებით ვისარგებლებთ და არა თუ მარტო შინა სახმარად გამოვიყენებთ, არამედ საზღვარ-გარედაც-კი გავიტანთ.

ეს-კია, რომ ამ საქმის შესრულებისათვის და ამ სანატრელ დროს დასაახლოვებლად, საჭიროა, რასაკვირველია, რომ მთავრობამ თავისის მხრით წაახალისოს ჩვენნი საქმის მწარმოებელნი და ისევე წარუმართოს ხელი, როგორც ხელ-წარმართულნი არიან საზღვარ-გარედ ასეთის საქმის დამწყებნი, რომელთაც განსაკუთრებით იმითი აქვთ გაადვილებული საქმე, რომ გზების გაყვანასა და მდინარეთა რუსხმულის გაწმენდას ყოველთვის მთავრობა კისრულობს.

მეთვალყურე

*) ეს საყურადღებო წერილი დაბეჭდილია გაზ. „Кавказ, сельское хозяйство“-ში.

*) ადამიანის მკერდის სიმაღლემდე იყო გაზომილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თქვენს რედაქციას, გაზეთ „კვალისას", „მწყემსისას", „ახალ მიმოხილვისას" და ჟურნალ „მოამბისას", რომელნიც ჩვენ, ვარშავის ქართველ სტუდენტებს, გვიგზავნიან თითო ცალს თავიანთ გამოცემისას; აგრეთვე ტფილისის და ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობათა, რომელთა შემოწირულებებით დაარსებულია ჩვენი წიგნთ-საცავი, და გვიგზავნიან თითო ცალს ყოველ მათგან გამოცემულ წიგნებისას; თ. ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩვენს წიგნთ-საცავს ერთი ცალი თავის თხზულებათა; ბბ-ნთ ი. გოგებაშვილს, ა. ფურცელაძეს და აღნიაშვილს, რომელნიც უყურადღებოთ არ სტოვებენ ხსენებულ წიგნთ-საცავსა.

ნიკოლოზ შენგელია

## სიყვარული ქალისა და კაცისა

შეუძლიან თუ არა დედაკაცს რამდენისამე კაცის შეყვარება და მამაკაცს რამდენისამე დედაკაცისა? ეს კითხვა საფრანგეთის გაზეთმა „Figaro"-მ თავის მკითხველებს და ბევრი საყურადღებო პასუხიც მოსვლია როგორც დედაკაცთა, ისე მამაკაცთაგან.

დედათა უმეტესობას განუცხადებია, რომ რამდენისამე კაცის ერთად შეყვარება შეუძლებელიაო. ასეთი სიმრავლე საყვარელისა საზიზღარია და შეუძლიანთ მხოლოდ გარყვნილ არსებათ, რომელთაგანიც ძალიან იშვიათია დედათა შორის და, სამწუხაროდ, კაცებში უფრო ხშირად შეხვდებითო. მოგვყავს წერილები რამდენისამე დედაკაცისა ამ საყურადღებო საგნის შესახებ.

ერთი ქალი სწერს:

„მამაკაცის სიყვარული უმეტესად ნაყოფია გრძნობიერებისა და არა გრძნობისა; მაშასადამე, იმას შეუძლიან ერთს დროს რამდენისამე დედაკაცის სიყვარული ატაროს გულში. ამას ჭარამხანების არსებობაც ამტკიცებს. ჩვენ-კი, ქალები (აქ სახეში მყავს ის ქალები, რომლებიც ღირსნი არიან ამ სახელისა), ვერასოდეს ვერ ვიგრძნობთ ასეთს სულიერს მდგომარეობას. ჩვენი ოცნება, იმ წუთიდგან, რაკი ვიგრძნობთ საჭიროებას სიყვარულისას, ის არის, რომ ერთი გვიყვარდეს და გულში გვაქვს ჩაჭდეული ეს სიტყვები: „ერთს დავეკუთვნოთ!" ბევრი ჩვენგანი შეძრწუნებით გაიდევნის ხოლმე ფიქრს, რომ მეორედაც შეიძლება გათხოვებაო... აქედამ იმას დავასკვნით, რომ ქალი, რამდენისამე კაცის მოყვარული, გამოცანაა, იშვიათად საპოვნელი, დუხჭირი მოვლენა".

მეორე ქალი ამბობს:

„შეუძლებელია სიყვარულით ორის კაცის შეყვარება. შეიძლება ორიც გვიყვარდეს მშვიდის, წყნარის მეგობრულის სიყვარულით, მაგრამ ვნების გატაცებით, ფიზიკურად მხოლოდ ერთის შეყვარებაა შესაძლებელი. მე ამითი იმისი თქმა-კი არ მინდა, ვითომ სიყვარულის გამოცდა მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდეს. არა, ქალს შეუძლიან ერთხელ, ორჯელ, სამჯერ გამოსცადოს სიყვარული, მაგრამ ერთს დროს-კი არა."

მესამე ქალი თითქმის თანხმდება, რომ შესაძლებელია რამდენისამე კაცის ერთად შეყვარებაო. ეს ქალი სწერს გაზეთს:

«მაშინ, როდესაც პირველი სიყვარული სჭკნება და მიმქრალია, ხოლო იმის ნაცვლად ახალი, მეორე სიყვარული-კი ჰყვავის და იფურჩქნება, — შეიძლება ერთს დროს სიყვარულის ორი გრძნობა აღელვებდეს ადამიანს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ-კი, რომ ამ დროს პირველი ჯერ სრულად არ გარდაცვლილა და მეორე ჯერ არ დაბადებულა. გული ასეთს მდგომარეობაში იშვიათად ვარდება და დიდხანს არ გასტანს ხოლმე".

მეოთხე ამბობს:

„მამაკაცს შეუძლიან ერთი ქალი უყვარდეს და ამასთან ბევრის სხვის სიყვარულიც უღვიოდეს გულში. დედაკაცს-კი ბევრის სიყვარულიც რომ უღვიოდეს გულში, მაინც ნამდვილის სიყვარულით ერთი უყვარს. ეს ნათლად ამტკიცებს, რომ მამაკაცს გული უფრო ნაკლებად აქვს გაქსუებული და გაცვეთილი, ვიდრე გრძნობიერება; დედაკაცს-კი, გულიც რომ გაქსუებულ-გაცვეთილი ჰქონდეს, გრძნობიერება-კი საღი და ხელუხლებელი აქვს".

მეხუთე:

„მამაკაცს ყველა ქალის გულის-თქმა აქვს და სურვილი მისის დამორჩილებისა, დედაკაცს-კი ჰსურს დაემორჩილოს მხოლოდ და მარტო იმას, ვინც უყვარს. მისი სუსტი არსება ბევრის ალერსს იტანს, მაგრამ მთელის თავისის არსებით-კი მხოლოდ ერთ ადამიანს მიეცემა, იმას, რომელიც უყვარს".

ძალიან საყურადღებოა წერილი ერთის ქალისა, მეექვსესი, რომელსაც „ბევრჯელ ჰყვარებია და ეხლაც განაგრძობს ბევრჯელ სიყვარულს".

„მე ძალიან სუსტის ხასიათისა ვარ. ყოველივე, რაც-კი ჰბრწყინავს, თავისკენ მიზიდავს და იმისდა მიუხედავად, სულ იმას ვამბობ: «ერთგულება გვირგვინია დედათა მშვენიერებისა-მეთქი», თავი ვერ შემიმაგრებია, დავფრთხიალებ. ამას გარდა, მეტად ჩვილი გული მაქვს და აღტაცებაში ჩქარა მოვდივარ. ამ გვარად, თუ ორს სიყვარულს ერთად შეუძლიან გაძლება, რასაკვირველია, ჩემს გულში, ამის გარეშე, ყოველთვის თავისუფალი ვიყავი და იმასა ჩავდიოდი, რაც მსურდა. ბევრი მშვენიერი მამაკაცი მინახავს. ჩემთვის-კი მშვენიერების ნახვა და მისი სიყვარული ერთია. ხოლო ამასთან ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ნახევრად სიყვარული მე არ შემიძლიან. თუ შევიყვარებ ვისმე, სრულის გულითა და სულით შევიყვარებ. დიახ, ბევრი მყვარებია და ძლიერაც, თავ-გაპოდებით. ხან ერთს მივეცემოდი ხოლმე სრულის გულითა და სულით და ხან მეორეს. და აი, ამ გრძნობათა გრძელს ხვეულში, კარგად მახსოვს, ერთს გრძნობას მეორე მოსდევდა, სძლევდა ხოლმე მას, განაშვებდა, იმასაც მესამე აძევებდა და ასე და ამ გვარად. ერთი სიყვარული წამოზურზულდებოდა, გახელდებოდა, ახლა მეორე, ახლა მესამე და სხ. მაგრამ ერთად ერთ დროს ორის მამაკაცის სიყვარული-კი საშინელებაა! შეუძლებელია, საზარელი წარმოსადგენად! როცა მე მიყვარს ვინმე, საჭიროა, რომ მეორე მოვიდეს და ამგლიჯოს, განმაშოროს ამ სიყვარულს. შევიყვარებ თუ არა მეორეს, პირველი დამავიწყდება, დაველაპარაკები, გავუღიმებ, მაგრამ იმისი სიყვარული-კი მობეზრებული მაქვს. ყოველთვის მეორე უფრო სახარბიელოდ მიმაჩნდა, ვიდრე პირველი, იმისი წინაწარი, და იმას მივდევდი კიდეც. თუ გული შემიყოყმანდებოდა, ამ ყოყმანს იმ ცნობის-მოყვარეობითა და სურვილითა ვძლევდი ხოლმე, რომ კარგია ახალი გრძნობა გამოვცადო-მეთქი. იქნება ქარიანი დამიძახონ, მაგრამ ყოველთვის-კი გულ მართალი ვყოფილვარ. არასოდეს არ ვეტყვი მამაკაცს, „მიყვარხარ"-მეთქი, თუ ამას გული არ ამამხსის. და თუ დადგა ისეთი დღე, რომ ორს მამაკაცს ვუთხარი ერთად ეს გულიდგან ამოსული სიტყვები, — ეს დღე იქნება დასაწყისი სიცრუისა, და ამას-კი არასოდეს ვიზამ, რადგან სიტყვა სიცრუე ეხლაც-კი სირცხვილის ალ-მურს მინთებს".

მეშვიდე ქალი სცდილობს ზღვარი გაუვლოს სიყვარულსა და ცელქობას შუა. იმისის აზრით,

„სიყვარული საშინელი სენია, რომელიც განუკურნებელს არავის დასტოვებს. ეს სენი სხვა და-სხვა გვარად იჩენს ხოლმე თავს: ერთს გულში წაატანს ხელს, მეორეს — გრძნობიერებაში. შეიძლება ერთს დროს ამოძრავდეს ოცნება, სინაზე და გრძნობიერება. თითოეულის ამ გრძნობით გატაცებულს შეიძლება რამდენიმე ადამიანი ერთად და ერთს დროს მიუყვარდეს. ჭეშმარიტად, მთელის არსებით-კი, რასაკვირველია, მხოლოდ ერთის შეყვარება შეიძლება. ავადმყოფ ადამიანთ თავიანთ გრძნობას ავ-კარგიანობისა ვერა გაუგიათ-რა; შეყვარებულთაც არ შეუძლიანთ თავიანთ გულში ჩაიხედონ და უტყუარად განმარტონ, რა გრძნობა აღელვებთ. რამდენი დედაკაცია, რომელიც თავს ევლება ქმარს და მაინც საყვარელი ჰყავს! რამდენი მამაკაცია ცოლისათვის თავ-გამოდებული და სახლს გარედ მაინც საყვარლები ჰყავს. მამაკაცს სხვა ქალის ხელში ჩაგდება თავმოყვარეობისა გამო უნდა, სიახლისათვის, ან პირუტყვულ გრძნობის დასაკმაყოფილებლად. დედაკაცი საყვარელს იჩენს ცნობის-მოყვარეობისა, წყენისა, უსაქმობისა, კეკლუცობისა, ქონებრივად გაჭირვების გამო. მამაკაცსა და დედაკაცს ბევრი ერთ გვარი გრძნობა აქვთ: შური, ეჭვის გამო მოხიბვლა, გატაცება და სხ. ეს გრძნობანი ერთად ადვილად მოთავსდებიან და ერთმანეთს არაფერს დაუშლიან. შესაძლებელია დედაკაცს ერთის მამაკაცისა სინაზე უყვარდეს, მეორესი — ღონე, მაგრამ მე-კი მგონია, რომ სავსებით მხოლოდ ერთის სიყვარული შეიძლება და აი, სწორედ ამ ერთს უმსხვერპლებს დედაკაცი თავის მოვალეობას, ოჯახს, კეთილდღეობას და სახელს, ყოველივე ეს უკან დაიხევს, ჩრდილში მიდგება ჭეშმარიტ, ნამდვილ სიყვარულის წინაშე. აი მოკლედ ჩემი აზრი: შეიძლება ადამიანმა „აჯობინოს" რამდენიმე მამაკაცი ან დედაკაცი ერთად, მაგრამ სიყვარული-კი მხოლოდ ერთისაა შესაძლებელი».

ამ წერილებთან ბევრი ისეთი წერილიც არის მიღებული, რომ შესაძლებელიაო რამდენისამე დედაკაცისა და მამაკაცის ერთად სიყვარული. სასაცილო უფრო ის არის, რომ წერილებს კილოზედ ემჩნევა იმათ დამწერის გულის ტანჯვა და წამება. ერთი მამაკაცი დიდად ნაღვლიანად ამბობს, რომ სამი ქალი მიყვარს და არც დღე მაქვს ძილი, არც ღამეო. მამაკაცები უმეტესად, ორს გარდა, იმ აზრისანი არიან, რომ შეიძლება რამდენისამე დედაკაცის ერთად სიყვარულიო. ქალის მხრივ-კი ამ საგანს სულ სხვა თვალით უყურებენ: მარტო ის ფიქრიც კი, რომ ქალს შეიძლება რამდენიმე კაცი ერთად უყვარდეთო, — აძრწუნებთ და ზიზღსა ჰგვრით. რას უნდა მიეწეროს ასეთი სასტიკად მოქცევა დედაკაცთა მიმართ და სიბრალული მამაკაცებისა? იქნება ეს შედეგია აღზრდისა და ზნე-ჩვეულებისა? ან იქნება თავ-მოყვარეობასა აქვს გამოწვეული და სხვა არაფერს?

მართალია, დიდებული, გმირული, მსხვერპლად და წამებად მზა, ტარიელური სიყვარული მხოლოდ ერთის ადამიანის მიმართ არის შესაძლებელი, მაგრამ სად იპოვება ასეთი სიყვარული? იგი ისევე იშვიათია, როგორც არაკებში მოხსენებული კუდიანი დედაკაცი ქვეყნად. უბრალო, სადა, ყოველ დღიურს ცხოვრებას-კი რომ ჩააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ რამდენისამე ადამიანის ერთად შეყვარების მაგალითები უფრო ხშირია. ჩაიხედეთ ადამიანის გულში და რამდენსამე ვნებათა ღელვას, გულისთქმასა ჰნახავთ ერთად, ძალიან ძლიერთ და სხვა-და-სხვაგვარის სიღრმითა და ხასიათით, მაგრამ ერთად მოთავსებულთ კი, სულერთია, ავად თუ კარგად, იმ დრომდე, ვიდრე გონება მეთაურობს გრძნობას. ცის გუმბათზედ ბევრი ვარსკვლავია სხვა-და სხვა ზომისა. სწორედ ასევე ადამიანის გულში თავსდება სხვა-და-სხვა სახის სიყვარული, ერთს დროს აძგერებული და აღელვებული.

## რუსეთი

პროექტად არის ახალი კანონი დაადგინონ სხვილ ფეხა საქონლის ვაჭრობის განსაკარგებლად. ამ კანონით ასეთ საქონლის ვაჭრისაგან პოლიციას და თვით მყიდველთაც უფლება აქვთ მოწმობა მოსთხოვონ, რომ მართლა იმათი საკუთრებაა საქონელიო. ასეთი მოწმობანი უსასყიდლოდ უნდა მისცეს საადმინისტრაციო დაწესებულებათ. სხვილ-ფეხა საქონლის გამომყიდველი პასუხს აგებს, თუ იმისგან გაყიდულს ხარ-კამეჩს, ცხენს და სხ. ნაკლი, სენი რამ აღმოაჩნდა, თუ გაყიდვის დროს ჰქონია და იმას-კი დაუფარავს. ამ სენის აღმოსაჩენ ვადად 7—30 დღემდეა დანიშნული. თუ იცოდა და დაჰფარა, ვალდებულია მყიდველს უკანვე დაუბრუნოს ფული, ზარალისაც გადაუხადოს და თუ არ იცოდა, მაშინ მარტო ფული უნდა დაუბრუნოს და ის ხარჯი, რომელიც ყიდვისა გამო მოსვლია მყიდველს. პირუტყვის ყიდვა შეიძლება მხოლოდ ამისათვის დანიშნულს, განსაკუთრებულს ადგილებში, რომლებიც ბეითალის ზედამხედველობის ქვეშე უნდა იმყოფებოდეს.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში შეაქვს პროექტი საქალაქო, საერობო და საზოგადოებათა საავადმყოფოებისა და სამკურნალოების ახალის დებულებისა. ამ დებულებით რომელისამე წოდებისა თუ საზოგადოების სამკურნალო-საავადმყოფო ქონების მხრივ თვით იმ წოდებაშია და საზოგადოებამ უნდა ჰყოს უზრუნველი, რომელსაც ეკუთვნის, ხოლო საქმის მოწყობა და თვალ-ყურის გდება სამინისტროს უნდა ექვემდებარებოდეს.

—

საფრანგეთის ქალაქ ტულუზის საფოტოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს ბ-ნს ტრიუტს განუზრახავს ანტროპოლოგიურ კოლექციის შედგენა თავის მუზეუმისათვის და რუსეთის სატეხნიკო საზოგადოებისათვის. დაგვეხმარეთ და სურათები გამოგვიგზავნეთ ყველა იმ ერის წარმომადგენელთა, რომელნიც-კი რუსეთში მოსახლობენო. ამის გამო სატეხნიკო საზოგადოებას მოუმართავს პეტერბურგისა და პროვინციის ფოტოგრაფებისათვის და სთხოვს, გამოგვიგზავნეთ სურათები, ისეთები-კი, რომ შესანიშნავი სახეები იყოს გადაღებულიო, რათა ბ-ნ ტრიუტს გაუგზავნოთო.

## უცხოეთი

**რუსეთი და ვატიკანი.** „Journal des Debats"-ში დაბეჭდილია გრძელი კორესპონდენცია, რომელიც მიწერილი რუსეთის მომხრეს მიერ. კორესპონდენტი სწერს, რომ სცდილობენ რუსეთი მოაშორონ რომის პაპსაო. სამთა კავშირის სახელმწიფოებშიო, სწერს კორესპონდენტი: არაფრად ეპიტნავებათ ის გარემოება, რომ ვატიკანმა სიამოვნებით აღიარა რუს ფრანგთა დამეგობრება. ამის გამო მოიწადინეს შეეძულებინათ რომის პაპისათვის რუსეთი და განავრცელეს კიდეც ხმა, რომ რუსეთსა და ვატიკანს შორის ურთიერთობის გაწყვეტა აუცილებელიაო. მაგალითებრ, ამ აზრით არის ნათქვამი სამთა კავშირის სახელმწიფოთა გაზეთებში, ვითომ კარდინალ ლედოხოვსკის ამბავი მოუვიდა, რომ რუსეთში დიდად სდევნიან კათოლიკებსაო. პაპს ეს ისე ეწყინა და უსიამოვნოდ დაურჩა, რომ ენციკლიკის დაწერა უნდოდა კათოლიკეთა მდევნელების წინააღმდეგ და ეს ხომ დასაწყისი იქნებოდა უსიამოვნებისაო. ამ გაზეთებს ბევრი მაგალითიც მოჰყავდათ რუსთა მიერ კათოლიკების დევნისა. ამ ტყუილად მოგონილ ამბებით იმას არიან განზრახულნი, რომ ვატიკანსა და პეტერბურგს შორის ხიდი ჩატყდესო. მართალია, ამის გამო რუსეთში მცხოვრები კათოლიკები დაშორდებიან ვატიკანს, მაგრამ სამაგიეროდ ამითი რუსეთიც დაშორდება იტალიას, და ეს-კი ძალიან სასიამოვნო და ხელ-საყრელია სამთა მოკავშირე სახელმწიფოებისათვის. დასასრულ კორესპონდენტი დასძენს, რომ ვატიკანში ეს გავრცელებული ხმები არა სჯერათ და უნდობლად ეკიდებიან და თუმცა სცდილობენ გააზვიადონ, ვითომ რუსეთი ცუდად, უსამართლოდ ეკიდება მისს მიწა-წყალზედ მოსახლე კათოლიკებს, ამ გაზვიადებიდგან არა გამოვა-რაო.

—

**იტალია.** ამას წინად კრისპის ულაპარაკნია ერთს კორესპონდენტთან და უთქვამს: ნამდვილად ვიცით, რომ სიცილიაში მომხდარი ამბები უცხო-ქვეყნელ მეამბოხეთა ნამოქმედარია და ამისი საბუთიცა გვაქვს. ეს კიდევ არაფერი. შეთქმულობა აქვთ და უნდათ ამბოხება მოახდინონ მთელს ნახევარ კუნძულზედ, სამეფო უფლება გააუქმონ და რესპუბლიკა შემოიღონო. დასასრულ იტალიის მთავარ-მინისტრს განუცხადებია, რომ ომის მომხრე მე არასოდეს არა ვყოფილვარ, პირ-იქით, ყოველთვის იმას ვიყავ მოწადინებული და ვარ კიდეც, რომ განვამტკიცო იტალიის კეთილდღეობა მხედრობისა, ეკონომიისა და ფინანსების მხრივ, რათა უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს ამ ქვეყანას ევროპაში მშვიდობიანობის დაურღვევლობაზედაო.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** გაზ. „Politische Korrespondenz"-ი იუწყება, რომ იმპერატორი ფრანც-იოსები ყოველ დღე კითხულობდა ხოლმე, როგორ იმყოფება რუსეთის იმპერატორიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბიბლიოგრაფიო წერილი

ჩვენი სახალხო საექიმო წიგნები.

1. „სიმრთელის კიდობანი“ ოჯახში სა-კითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი. შედგენილი და გამოცემული ილ. ვას—ძის სულაქველიძის მიერ. ფოთი 1891 წ. ფასი 1 მან.

2. კარაბადინი, სახალხო საექიმო წიგნი. შედგენინილი დეკანოზის დავით ღამბაშიძის მიერ. გამოცემა მ ე ო რ ე დამატებით ქუთაისი 1893 წ. ფასი 1 მ. 20 კ.,

3. საექიმო ცნობები ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ 1894 წ.

ვინც იცნობს ჩვენის სოფლის ცხოვრებას, უეჭველია, დამეთანახმება, რომ ჩვენი სოფლის ხალხი სრულებით მოკლებულია წესიერ წამლობას და ექიმობას. ჩვენ ვკიცხავთ უმეცარ ხალხს, რომ ავადმყოფობის დროს ცრუ მორწმუნებაში ვარდება და მიჰმართამს ხოლმე მკითხავებს და სოფლის მატყუარა ექიმებს. მაგრამ იმას-კი აღარ ვკითხულობთ, მაშ ვის მიჰმართოს გაჭირვებულ ავადმყოფის პატრონმა? ეს იმას ჰგავს, რომ შიმშილით გაჭირვებული კაცი მხლით კუჭს ივსებდეს და ჩვენ-კი დავცინოდეთ:—პირუტყვივით ბალახსა სჭამსო, როდესაც შეიძლება გამტკიცული პური მიირთვასო. ესე იგი ჩვენ ყველანი იმ აზრისა ვართ, რომ როცა გლეხკაცს ავადმყოფი ჰყავს, უნდა ნასწავლ ექიმებს და აფთიაქის წამლებს მიჰმართოსო. კეთილი და აპატიოსანი, წარმოიდგინეთ, რომ ძმა გამიხდა მძიმედ ავად, ერთად-ერთი იმედი და ბურჯი ოჯახისა, რომლის ოფლით და მარჯვენით მთელი ჩვენი სახლობა სულდგმულობს. ახლა მიბძანეთ ვის და რას მივმართო, რომ ძმა სიკვდილისაგან დავიხსნა და ოჯახი გადავარჩინო განადგურებას?. ჩვენის სოფლიდგან მაზრის ქალაქამდე ოცდა ათი ვერსია. ვიქირავე ცხენი, მიველ ქალაქში და დაველრიჯე ერთად ერთ მაზრის ექიმს,-მიშველე, ძმა მიკვდება მეთქი. მაზრის ექიმი კანონით ვალდებული არ არის უეჭველად წამოგყვეთ. ექიმი ან სახემწიფო საქმეშია გართული, ან თვით ქალაქშივე ავადმყოფები ჰყავს, რომელთაგანაც უფრო დიდ გამორჩენას გამოელის. იპრიანა ღმერთმა და შეგხვდათ კაცთ მოყვარე ექიმი, მერე როგორ გგონიათ, რამდენი მანეთი უნდა მისცეთ ექიმს, რომ ოცდა ათ ვერსის მანძილზედ სოფელში წაიყვანოთ? ჯერ ეტლი დაგიჯდებათ, სულ ცოტა 5-6 მანეთი და ისიც თუ გზა ტკეცილია თქვენ სოფლამდე, თითონ ექიმი-კი ოც მანეთ ნაკლებ არ წამოვა და, თუ ღვთისნიერი კაცია ხუთმეტ მანეთად დაგთანახმდებათ, რაც უნდა ანგელოზი კაცი იყოს, თუმანზე ნაკლებ არ წამოგყვებათ. ახლა იანგარიშეთ ცხენის და ეტლის ქირა, ექიმის გასამრჯელო და 2—3 მანეთამდე აფთიაქის წამლების ფული და გამოვა რო ექიმის ერთი მიწვევა 15—20 მანეთ ნაკლებ არ დაჯდა. ძრიელ პატიოსანი. აგერ მოვიდა ექიმი, გაშინჯა ავადმყოფი, მაგრამ ზოგი იმისთანა ავადმყოფობაა, რომ თვით პროფესორი ეიხგორსტიც რო მოიყვანოთ, ერთის ნახვით ისიც ვერ გამოარკვევს ნამდვილად, რითაა კაცი ავად, თქვენს ბედზე, ერთი ნახვით თუნდ გაიგოს კიდეც ექიმმა რაში მდგომარეობს საქმე, მერე, რა? განა მაგით გეშველებათ რამე? ისეთი რა ჯანაოზი ექიმი უნდა იყოს, რომ ერთის ნახვით ავადმყოფი მოარჩინოს, ქრისტე ღმერთი ხომ არ არის, პირჯვარი გადასწეროს და სნეული განკურნოს. მაშასადამე, თუ გული შეგტკივათ თქვენის ავადმყოფისათვის და, თუ ზურგიც მაგარი გაქვთ, უნდა ის ოც მანეთიანი, „ვიზიტი“ ორ-ჯერ სამ-ჯერ გაიმეოროთ კიდეც რო მშვიდობიანად გათავდეს საქმე და თქვენი ავადმყოფი ან თვით ბუნებამ, ან სწავლულმა ექიმმა და აფთიაქის წამლებმა განკურნოს. განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ ჩვენს სოფლებში ათასში ერთი თუ შეიძლებს, და ისიც თავად-აზნაურთაგანი, 20—40 მანეთი დახარჯოს ავადმყოფობის დროს, თორემ საწყალ გლეხ კაცს, არამც თუ 20—40 მანეთი, ზოგჯერ 20—40 კაპეიკიც არ აბადია, სიკვდილიდგან გამოიხსნას თავის თავი ანუ რომელიმე წევრი თავის ოჯახისა.

რაც ზევით მოგახსენეთ, ამით ჩვენ დაგიხატეთ მხოლოდ თვითოული კერძო შემთხვევა, როდესაც სოფელში თითო-ოროლა ოჯახში ვინმე გაუხდებათ ავად, მაგრამ ახლა ავიღოთ ის შემთხვევაც, როდესაც სოფელს რომელიმე გადამდები ავადმყოფობა მოედება, მაგალ. სახადი, ქუნთრუშა და სხვ. და როდესაც რამდენიმე ვაჟკაცი გამოესალმება ამ წუთი სოფელს ამ შემთხვევაში სოფლის ნაცვალი კანონით მოვალეა მამასახლისს შეატყობინოს და მამასახლისმა მაზრის უფროსს, მაზრის უფროსი ქაღალდს მისწერს მაზრის ექიმს და მაშინ ეს უკანასკნელიც კანონით მოვალეა სახემწიფო ხარჯით წავიდეს სოფელში. ამასობაში გადის კვირეები და ზოგჯერ თვეებიც, გამძვინებულს სენს-კი მსხვერპლი მსხვერპლზედ მიაქვს. აი მოვიდა ექიმიც, გამოიკვლია ავადმყოფობა და სცნო, რომ მართლა და გადამდები ავადმყოფობაა სოფელში გავრცელებული; მაშინ ექიმი აძლევს დარიგებას სოფლის მოხელეებს, რომელნიც ძრიელ ზარმაცად და უნდობლად ასრულებენ, მერე მაზრის ექიმი ატყობინებს გუბერნიის ექიმს და მაზრის უფროსსაც, რომ ამა და ამ სოფელში ესა და ეს სენი გაჩენილა, ამდენი მომკვდარა და ამდენია კიდევ ავადაო. ამ გვარ სიას კვირაში ერთხელ მამასახლისიც მიართმევს ხოლმე მაზრის უფროსს. მთელს მაზრას ას და ორას სოფელს ერთად ერთი მაზრის ექიმი ჰყავს, მაშასადამე, რაც უნდა პატიოსანი და ტანჯულ მოძმეთათვის თავ-დადებული და თავ-გამოდებული იყოს, ფიზიკურად მაინც ძალა არ შესწევს მთელს მაზრას გასწვდეს. მაშასადამე, ექიმს არ შეუძლიან თქვენს სოფელში ერთი დღეც არი დაჰყოს, რადგან ბევრ-გვარი სხვა მოვალეობა აწევს. აქედგან აშკარადა სჩანს, რა მდგომარეობაშიაც უნდა იმყოფებოდნენ ავადმყოფნი და ავადმყოფთა პატრონები.

ზოგჯერ, თუ ავადმყოფობამ დიდი პროცენტი იმსხვერპლა, ექიმი განმეორებით წავა სოფელში და იქნება ფერშალიც მიუჩემონ ავადმყოფებს, ხოლო წამლები კი სოფელმა თავის ხარჯით უნდა შეიძინოს აფთიაქიდგან.

ისიც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ უმეცრებით დაშინებული სოფელი ანუ სოფლის მოხელეები არ ატყობინებენ თავიანთ გაჭირვებას, რადგან ეშინიანთ— „კარანტინებს“ შეგვიკვრენ, ტან-საცმელს დაგვიწვენო და სხვ.

აი ეხლა თვით მკითხველმა განსაჯოს, რა მდგომარეობაშია ჩვენი სოფლის ხალხი ექიმობისა და წამლების მხრივ.

ჩვენ არ გვინდა ვუსაყვედუროთ, ან ბრალი დავსდოთ ვისმე, აქ არც ექიმები არიან დამნაშავენი და არც მოხელენი. აშკარაა, როცა ისე იქმნება საქმე მოწყობილი, რომ ყველა საზოგადოებას თავისი ექიმი ეყოლება და აფთიაქი ექმნება, მაშინ ხალხის ბედიც კეთილად მოეწყობა, მაგრამ ამისთანა კეთილ-განწყობილება მხოლოდ მოცლილ ფანტაზიას შეუძლიან იფიქროს.

რა თქმა უნდა, რომელ გუბერნიებშიაც ე რ ო ბ ა ა შემოღებული, იქ ხალხი ცოტად თუ ბევრად უკეთ არის მოწყობილი, რადგან მზრუნველი მაშინ მეტი ჰყავს, მაგრამ ჯერ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე საქართველოში ერობა დაწესდებოდეს.

ერთად-ერთი ჩვენი იმედი არის სოფლის ინტელიგენცია: მღვდელი, მასწავლებელი, მემამულე თავად-აზნაურნი და სხვ. მხოლოდ ამათ შეუძლიანთ შეიტანონ სოფელში სხივი ჭეშმარიტის სამკურნალო მეცნიერებისა და მოჰფინონ ხალხში ადვილად გასაგები და გამოსადეგი საექიმო ცნობანი.

ამიტომაც სცდილობს მთავრობა, რომ სემინარიებში მომავალმა მღვდლებმა სამკურნალო მეცნიერებიდგანაც იმდენი რამ ისწავლონ, რამდენიც საჭირო იქმნება მათთვის სოფელში გაჭირვებულ მოძმეთა დასახმარებლად, და მით იყვნენ ნამდვილი მამანი სულიერნიც და ხორციელნიც.

აი ამ დროს, რამდენად სასარგებლოა კარგი საექიმო წიგნები, რომ სოფლის ინტელიგენციამ იმ წიგნებით იხელმძღვანელოს და დააკმაყოფილოს თავისი ქრისტიანული, ზნეობრივი მოთხოვნილება გაჭირვებულ მოძმესადმი!

ჩვენს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას პროგრამაში, სხვათა შორის ისიც უწერია, რომ საზოგადოება მოვალეა გამოსცეს ხალხისათვის გასაგებ ენაზედ საექიმო დარიგებანი და წამლობანი, რათა ხალხში გავრცელდეს ჭეშმარიტი სამკურნალო ცნობანი და მით ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ სოფლის ხალხს გაჭირვებული მდგომარეობა, ამგრამ, თუ არ ვსცდებით, ხსენებულმა საზოგადოებამ მხოლოდ ერთი სახალხო „ბროშურა“ გამოსცა ხოლერობის დროს და ის იყო და ის.

ჩვენი ნასწავლი ქართველი ექიმებიც ჯერ-ჯერობით ამისთანა საქმეს თავს არ უდებენ და ზოგს თუნდ უნდოდეს კიდეც და წრფელის გულით შესტკიოდეს გული ქართველ ხალხისთვის, სამწუხაროდ, იმდენად ვერ არის გავარჯიშებული ქართულ ენაში, მაგრამ, ჩვენის აზრით, იმ ქართველ ნასწავლ ექიმს, რომელმაც ქართული ენა საკმაოდ კარგად იცის, დიდი ცოდო მიუძღვის ღვთისა და ქართველ ერისადმი, რომ თავის მეცნიერულ გამოცდილებას ერსაც არ ამცნევს.

აი აქედგან წარმოსდგა ის სამწუხარო გარემოება, რომ სამკურნალო წიგნების წერა დაიწყეს, იმ ნაირმა კაცებმა, რომელნიც არ არიან განვითარებულნი არც სამედიცინო და არც საფარმაციო მეცნიერებაში. და რომ ხალხში დიდი მოთხოვნილებაა საექიმო წიგნებისა, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ დეკანოზის ღამბაშიძის კარაბადინი მეორედ დაიბეჭდა და იქნება ის სასწაულიც მოხდეს, რომ „სიმრთელის კიდობანიც“ მეორედ დაიბეჭდოს. ეჭვი არა გვაქვს, ეს პატიოსანნი კაცნი ხალხისადმი გულ შემატკივრობით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მარტო გულის შემატკივრობა არას გამოდგება ხოლმე, თუ კაცი სპეციალისტი არ არის იმ საგნისა, რასაც ის ჰკიდებს ხელს.—ჩვენის აზრით, ამ დიდად გაჭირვებულ ხალხის მდგომარეობის დროს, საჭიროა ამ გვარ წიგნებს დიდი ყურადღება მივაქციოთ.

ამიტომაც ჩვენ თანახმანი არა ვართ იმ გვარ კრიტიკისა, როგორიც ამას წინად წავიკითხეთ „მოამბის“ 1 №-ში. თუმცა ავტორმა ძრიელ დაიწუნა ბ-ნ სულაქველიძის „სიმრთელის კიდობანი“, მაგრამ მან მხოლოდ თავში გადასინჯა ორიოდე ფურცელი და თავი და თავი ნაკლულევანება-კი არ გვიჩვენა.

არც ჩვენ გვაქვს აზრად დაწვრილებით ვჩხრიკოთ „სიმრთელის კიდობანი“ არც ადგილი გვაძლევს ნებას და არც გვინდა იმოდენა დრო და შრომა შევწიროთ ამ წიგნს. საკმაოა მხოლოდ უსაჭიროესი განყოფილება „სიმრთელის კიდობანისა“ გავარჩიოთ, ის განყოფილება, რომელსაც პატივცემული ავტორი უწოდებს: „სია წამლებთა, (თუ წამალთა, ან წამლებისა?) შეზავება, დანიშნულება და ხმარება მათი მოწიფულ ავადმყოფთათვის“ (აქაც ორკეცი მრავლობითი რიცხვია).

ბ-ნი სულაქველიძე სამწუხაროდ არ გვეუბნება, საიდგან სთარგმნა და რა წყაროებით ისარგებლა თავის „კიდობნის“ შედგენის დროს და ქვემო მოყვანილ რეცეპტებიდგან-კი სჩანს, რომ უთუოდ იოანე მრისხანეს დროინდელ წიგნებიდგან აქვს ამოკრეფილი.

(შემდეგი იქნება)

## გასართობი

— მამილოცეთ, ჩემი ცოლი დაწვა.
— რა ეყოლა?
— აბა გამოიცან.
— ვაჟი?
— არა.
— მაშ ქალი იქნება.
— აი, შე ეშმაკო, შენა! კარგია გამოიცან, თორემ დიდხანს უნდა მეწვალებინე.

**

— ახ, მამაჩემო, ეუბნებოდა ერთი განათლებაში ახლად ფეხ-ჩადგმული ქალი თავისს გაუნათლებელს მამას: იმ წიგნში, რომელსაც ეხლა ვკითხულობ, ნათქვამია, რომ სიკვდილი ხშირად სიძულილს სიყვარულად შესცვლის ხოლმეო.

— მართალია, შვილო, ღრმა ჩაფიქრებით წარმოსთქვა მამამ: წიგნში რაცა სწერია, ყველაფერი მართალია. აი თუ გინდა მე, გოჭი ძალიან მეჯავრება, მავნებელი პირუტყვია, ბაღ-ბოსტანს აფუჭებს. მაგრამ აბა იგივე გოჭი შემწვარი, ან მოხარშული მომიტანე სუფრაზედ, ჩემი სიძულილი მაშინვე სიყვარულად შეიცვლება.

**

— დაგვსაჯა შარშან ღმერთმა, პური სულ არ მოგვივიდაო; შესჩიოდა ერთი სოფლიდგან ჩამოსული ქალაქელს.

— აი, სოფლისა სწორედ ეგ მეჯავრება, —უპასუხა ქალაქელმა: ხან მოდის პური, ხან არ მოდის. მაგ მხრივ ქალაქს რა სჯობია: ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ ფურნეა გამართული, მიხვალ, ფულს მისცემ და რამდენიც გინდა პურს იყიდი.

**

პოლიციელმა შუა ქუჩაზედ მთვრალი კაცი ჰნახა და ჰკითხა:

— სადა სცხოვრობ?

— სოფელში, უპასუხა ძლივს-ძლივობით გლეხმა და წამოდგომის ღონე-კი არა ჰქონდა.

— სად ჩამოხტი?

— თვალები არა გაქვს, ძამიავ სადაც ჩამოვხტი, ვერა ჰხედავ?!..

## გამოსადეგი ცნობა

შესახვევი წყალ-მიუკარებელი ქაღალდი. გახსენით გირჯანქა ნახევარი თეთრი საპონი $2/3$ ტოლჩა წყალში, შემდეგ მოამზადეთ 30 მისხალი გუმერაბიკი და 88 მისხალი სადურგლო წებო. $2/3$ ტოლჩა წყალში გახსნილი, გადაასხით ერთმანეთში და გააცხელეთ და ჩაასხით რაშამე და შიგ ქაღალდი ამოავლეთ. როცა კარგად დასველდეს ქაღალდი, ამოიღეთ და ოთახში გააშრეთ. ქაღალდს წყალი აღარასდროს არ შეუვა და ძალიან კარგი მოსახმარებელია ისეთის ნივთების სახვევად, რომელიც ნესტსა და ნამს იღებს.

# დეპეშა

29 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია გარდაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოსი: შეიძლება საკომლო მამულები გაჰყიდონ მთელ სოფლის საზოგადოებათა, თუ ამ საგანზე ცალკე განაჩენია დადგენილი და $2/3$-ზე ნაკლები არ არის რიცხვი იმ გლეხთა, რომელნიც თანხმანი არიან გაყიდვისა; მხოლოდ განაჩენი იგი უნდა დამტკიცებული იყოს ან საგუბერნიო და ან საგლეხ-კაცო საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს მიერ; უკეთუ გასაყიდ მაულის ფასი 500 მანეთს აღემატება, მაშინ საჭიროა ნებართვა შინაგან საქმეთა სამინისტროსი; შეზღუდვას ამ უფლებისას ძალა არა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ნაჭერი მამული უნდა მეორეზედ გადიცვალოს, ანუ როცა გამიჯვნაა მამულებისა (მუხ. 86). შესაძლოა სოფლის საზოგადოების განაჩენის ძალით მიეცეს მამული საეკკლესიო კრებულს, ხოლო საკომლო, შეძენილი ცალკე გლეხის მიერ, ან მემკვიდრეობით მის მფლობელობაში მყოფთ, შეიძლება გაცემულ იქმნას ან ჩუქებით, ან გაყიდვით, თუ მამულის შესატანი გარდასახადია დარჩენილი გლეხზედ; ხოლო ამ მამულის შეძენა, ვაჭრობით იქნება, თუ მორიგებით, შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, რომელნიც ან მიწერილნი არიან ან ეპირებიან მიეწერნენ სოფლის საზოგადოებას; თუ მამული უნდა გაიცეს სამრეწველო აზრით, ამ შემთხვევაში შეიძლება საკომლო მიწები შეიძინოს ყოველ გვარ წოდების კაცმა, სოფლის საზოგადოებამ და კერძო გლეხმა, მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის ნება-დართვით-კი. აღკრძალულ იქმნა საკომლოს დაგირავება კერძო-კაცთა და დაწესებულებათა ხელში, თუნდა ხაზინის ვალი სულ მოშორებულიც იყოს. თუ მამული დაგირავებული ყოფილა ამ კანონის გამოცხადებამდე, შეიძლება იგი მამული გაიყიდოს სასამართლოს მიერ აღიარებულ ვალში, მხოლოდ ჯერ მოშორებულ უნდა იქმნას ხაზინის ვალი, გაცემულის მამულის შესახსნელად. თუ საზოგადოებას მამული შეუძენია, ხოლო

გლეხ-კაცს უნდა ცალკე გავიდეს და თავისი ხვედრი ვალი ერთბაშად გადიხადოს, ნება მიეცეს, მხოლოდ ამისი თანხმა უნდა იყოს საზოგადოება და განაჩენში უნდა აღინიშნოს, რა პირობითაც დათახმდა. ეს წესები არ შეეხება პოლშის სამეფოს, ბალტიის პირის გუბერნიებს, კავკასიას და აზიაში მდებარე რუსეთს.

**ვენა**, ქალაქის საბჭოში ბურღომისტრომა ჩამოაგდო ლაპარაკი იმაზედ, რომ იმპერატორის 50 წლის იუბილეის სახსოვრად ავაგოთ დიდებული შენობა საქალაქო მუზეისათ.

**მადრიდი.** მაროკკოს სულტანმა ინახულა კამპოსი და დასთანხმდა, რასაც ისპანია თხოულობს, შევასრულებო. რაოდენობა ფულისა, რომელიც უნდა გადავიხადო, მედიატორეთა სამართალმა გადასწყვიტოსო. კამპოსმა სთქვა, რომ წინაალმდეგი ვარ უცხო სახელმწიფოთა ჩარევისა ჩვენს საქმეშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 25 იანვარი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,45 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 147 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . | | — ,, | 225¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: შორის გზით 2 ს. შუად შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ და ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


# განცხადებანი

## „მზა-მეტყველება“

თხზ. ანტონ კათალიკოზისა

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი მანათი და ათი შაური. (5—5)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—154)

ბალახეულის კარამელი

ხველების წამალი

## „პექტო ბონს“

ბ. სემადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. იყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ.

М. (20—13)




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.




„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ო. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |



# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოოზის ქუჩაზე, 21.



გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

## საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

## უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

## სამახსო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

## სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

## სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიყზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.


Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Января 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე